

ქუთაისის საერთაშორისო
უნივერსიტეტის

გაუმომარაგება

ს.ხ. 03.06.27.292

გაზსადენის შიდა ქსელი

დირექტორი

ა. ჩუბინიშვილი

პრ. მთ. ინჟინერი

გ. გაბაძე

GC Group

თბილისი 2020 წ

ქ. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაზომომარაგება
(საქ. კოდი 03.06.27.292)
გაზსადენის შიდა ქსელი

ტექსტური ნაწილი

- განმარტებითი ბარათი
- სპეციფიკაცია, სამუშაოთა მოცულობა
- ტექნიკური პირობა სს "საქორგაზი"

გრაფიკული ნაწილი ფურცლების დასახელება	ფურცლის ნომერი
საშ. წნევის გაზსადენის გენ. გეგმა მ. 1:1000	1
№1 კარადის სქემა, კრონშტეინის სქემა	2
№2 კარადის სქემა	3

ხარჯთაღრიცხვა

განმარტებითი ბარათი

პროექტი შესრულებულია შპს “GC Group”-ის მიერ ასოციაცია „ატუ“ - ს დაკვეთით და ითვალისწინებს ქ. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაზმომარაგებას (საკ. კოდი 03.06.27.292), კერძოდ: არსებული ქსელიდან მშენებარე შენობებამდე - “A“, ”B“, “H” და “J” ბლოკებამდე გაზსადენის მიყვანას.

პროექტით “A“, ”B” ბლოკს და ბიბლიოთეკას აქვს საერთო საქვაბე სახურავზე, ტექნიკურ სართულზე, გაზის საერთო ხარჯით 574 მ³/სთ.

სასადილოს - “J” ბლოკის სამზარეულოში გაზის საერთო ხარჯია 30 მ³/სთ.

”H” ბლოკს საქვაბე აქვს სახურავზე, გაზის საერთო ხარჯით 67 მ³/სთ.

გაზის საერთო ხარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს $Q=671$ მ³/სთ.

გაზსადენის კვეთის ანგარიშში გათვალისწინებულია ამავე ტერიტორიაზე “C“ და ”D” ბლოკის სავარაუდო პერსპექტიული გაზის ხარჯი (366 მ³/სთ), რომელიც ამ ეტაპზე არ შენდება. გაზ-ის დიამეტრში ასევე არის გათვალისწინებული რიონის არხის მეორე მხარეს მშენებარე ობიექტების სამომავლო სავარაუდო გაზის ხარჯი (1150 მ³/სთ).

1. გაზსადენის კვების წყარო

გაზსადენის კვების წყაროს წარმოადგენს რიონჰესის წყალგადამგდები არხის მიმდებარედ, ახალი აშენებული $d=150$ მმ ($P=3$ ბარი) მიწისზედა გაზსადენი.

2. გაზსადენის ქსელის აღწერა

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი დაქსელილია მიწისქვეშა საშ. წნევის პოლიეთილენის გაზსადენით. მხოლოდ “J” ბლოკისთვის არის დაბ. წნევა მიყვანილი კარადიდან შენობამდე. გაზსადენის საერთო სიგრძე შეადგენს 1059მ.

გაზსადენის ქსელის გეგმარება ითვალისწინებს შემდგომში “A“ ”B” და “H” ბლოკის სახურავზე საშ. წნევის გაზსადენის აყვანას, რეგულატორის სახურავზე მოწყობას და საქვების გაზმომარაგებას, რაც გამოშვებული იქნება ცალკე პროექტად.

”H” ბლოკის საქვებისთვის P_{k1+63} გათვალისწინებულია გაზის ხარჯშომი კარადის მოწყობა შემსვლელი წნევით $P_{max}=3$ ბარი.

“A“ ”B” და “J” ბლოკისთვის P_{k7+30} გათვალისწინებულია გაზის ხარჯშომი კარადის მოწყობა შემსვლელი წნევით $P_{max}=3$ ბარი.

N1 და N2 კარადის მოწყობის სქემატური ნახაზები იხ. N2-3 ფურცელზე.

შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მშენებლობის დაწყებამდე გამომდახებული იქნას კომუნიკაციების წარმომადგენლები და მათი თანდასწრებით მოხდეს ტრანშეის გაჭრა ხელით.

მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია გაზსადენის ტრაექტორია დაიკვალოს GPS-ის სისტემით.

3. პოლიეთილენის მიწისქვეშა გაზსადენები

მიწისქვეშა გაზსადენის გამანაწილებელი ქსელი დაპროექტებულია $d=160\text{მმ}$ $d=90\text{მმ}$ და $d=63\text{მმ}$ (PE 100 SDR 17) მილებით. გაზსადენების გადაბმა უნდა მოხდეს ელ - ქუროების მეშვეობით. გამანაწილებელ გაზსადენზე "H" ბლოკის განშტოების მოწყობა გათვალისწინებული გვაქვს პოლიეთილენის სამკაპის საშუალებით. პოლიეთილენის მილის ერთი დიამეტრიდან მეორე დიამეტრზე გადასვლა, ასევე გაზსადენის მოხვევები უნდა მოხდეს პოლიეთილენის ფიტინგების (გადამყვანი, მუხლი) საშუალებით.

გაზსადენის ტრასის მშენებლობისათვის ტრანშეის გათხრის სამუშაოებს ვითვალისწინებთ ძირითადად მექანიზმებით. ტრანშეის ძირის საპროექტო ნიშნულამდე მოსწორებას, შემჭიდროებულ ადგილებში და მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთისას სამუშაოთა შესრულება გათვალისწინებულია ხელით.

ტრანშეის მინიმალური სიგანე ტრანშეის ძირზე უნდა იყოს არანაკლებ 0.5 მ, ხოლო გაზსადენის ჩალრმავება გათვალისწინებულია მილის ზედა მსახველიდან 1.0 მ სიღრმეზე. ტრანშეის ძირი გულმოდგინედ უნდა გაიწმინდოს ქვებისგან და ხის ფესვებისაგან. გაზსადენის ქვეშ უნდა მოეწყოს 0.1 მ სისქის ბალიში (ქვიშა, რბილი გრუნტი, ლამი) და მილის ზედა მსახველიდან 0.2 მ სიმაღლეზე უნდა დაეყაროს აგრეთვე (ქვიშა, რბილი გრუნტი ან ლამი). ამის შემდეგ ტრანშეის შევსება მოხდეს ადგილობრივი გრუნტით. სრულყოფილსაფარიან გზებში ტრანშეის შევსება ქვიშის საფუძვლის შემდეგ ხდება ბალასტით, თანდათანობით დატკეპნით. ტრანშეის შევსება დეტალურად ნაჩვენებია პროექტში დართულ სქემებში (ფურც N1).

ტრანშეაში მილების ჩაწყობის სამუშაოები წარმოებს არაუმეტეს $+30^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის დროს. ცხელ პერიოდში ტრანშეაში მილის ჩაწყობისას მილსადენში ნარჩენი დაძაბულობების აღმოფხვრის მიზნით გაზსადენის ჩაწყობის სამუშაოები უნდა იწარმოოს დღის უფრო გრილ პერიოდში.

ტემპერატურული ცვილებების შედეგად გაზსადენის ექსპლუატაციის დროს დაძაბულობების შემცირების მიზნით, $+10^{\circ}\text{C}$ მაღალი ტემპერატურის დროს მილსადენის ტრანშეაში ჩაწყობისას იგი ეწყობა კლავნილად, ხოლო გრუნტის მიყრა წარმოებს დღე-ღამის მინიმალური ტემპერატურის დროს. 0°C -ზე დაბალი ტემპერატურის დროს გაზსადენზე გრუნტის მიყრა ხდება დღე-ღამის ყველაზე თბილ პერიოდში.

ზამთრის პერიოდში გაზსადენი ეწყობა გამღვალ გრუნტზე. თოვლზე ან ყინულზე გაზსადენის დაწყობა აკრძალულია. ტანშეის ძირის მოყინვის შემთხვევაში ახორციელებენ ტრანშეის ძირის მიყრას წვრილგრანულირებული გრუნტით. გაზსადენზე მიყრილი იქნება წვრილგრანულირებული გრუნტი.

ჩაწყობის წინ მილები გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს ბზარებისა და სხვა დაზიანებათა აღმოჩენის მიზნით.

სამშენებლო უბანზე მილების მიზიდვა აუცილებელია მოხდეს უშუალოდ სამონტაჟო სამუშაოების წარმოების წინ. დაუშვებელია პოლიეთილენის მილის ტრანშეის ძირზე გათრევა, მილის რულონების სატვირთო მანქანის ძარიდან გადმოყრა და ა.შ. პოლიეთილენის მილი და შემადგენელი დეტალები აუცილებლად აღჭურვილი უნდა იყოს ქარხნის დამადასტურებელი

სერთიფიკატით. სამშენებლო ორგანიზაციას უფლება ეძლევა, თვითონ აირჩიოს პოლიეთილენის მილების დამამზადებელი ქარხანა იმ აუცილებელი პირობით, რომ გამანაწილებელ ქსელზე მილები უნდა იყოს PE 100 სიმკვრივის და SDR 17 სისქით. მილებისა და შემაერთებული დეტალების ტრანსპორტირებას და შენახვას ახორციელებენ მილებზე და შესაერთებელ დეტალებზე ტექნიკური ნორმების შესაბამისად.

მილები უნდა ინახებოდეს დახურულ შენობაში ან ფარდულში და დაცულნი უნდა იყვნენ მზის სხივების პირდაპირი მოხვედრისაგან. მილები ეწყობა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ერთ რიგად ან შტაპელებად. დასაშვებია მილების შენახვა ღია მოედნებზე არა უმეტეს სამი თვის ვადისა.

შტაპელების სიმაღლე სავარაუდოდ ორ თვეზე მეტი ვადით შენახვის დროს არ უნდა აღემატებოდეს 2.9 მ. უფრო მცირე ვადით შენახვის დროს შტაპელის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 4.9 მეტრს SDR17 ტიპის მილებისათვის. შემაერთებული დეტალები ინახება: დახურული საწყობის შენობაში, მათი დეფორმაციის გამომრიცხავ პირობებში, აგრეთვე დაცულნი უნდა იყვნენ ზეთისა და საპოხი მასალების მოხვედრისაგან, არაუახლოეს ერთი მეტრისა გამათბობელი ხელსაწყოებიდან.

შტაპელების გაფანტვის თავიდან აცილების მიზნით განაპირა მილები აუცილებელია დაისოლოს. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე სხვა საშუალებები (საყრდენი შემოღობვა, ასაწყობ-დასაშლელი სტელაჟი და ა.შ.) მილების დასაწყობების დროს აწყობენ „უნაგირად“ ან ფენებად, იარუსების შორის სადენების დატანებით (პაკეტებად დაწყობისას).

პოლიეთილენის მილებისა და შემაერთებული დეტალების შენახვის საგარანტიო ვადები განისაზღვრება მილებზე ტექნიკური პირობებისა და სტანდარტების მიხედვით.

პოლიეთილენის მილების ერთმანეთთან შეერთება გათვალისწინებულია შემაერთებული დეტალების საშუალებით. ამ მიზნით გამოყენებული იქნება ჩასაყენებელი გამახურებლიანი შემაერთებული დეტალები (ქურო).

პოლიეთილენის გაზსადენების შედუღებას ჩასაყენებელი გამახურებლებიანი შემაერთებული დეტალებით აწარმოებენ გარემომცველი ჰაერის არანაკლებ -5°C და არაუმეტეს $+35^{\circ}\text{C}$ დროს. სხვა ტემპერატურაზე შედუღების სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში შედუღება უნდა იწარმოოს დახურულ სათავსოში.

შედუღების ადგილი დაცული უნდა იყოს ტენის, ქვიშის, მტვრის და სხვა ზემოქმედებისაგან. ქუროების საშუალებით მილების შეერთებით ტექნოლოგიური პროცესი შეიცავს:

მილის ბოლოების მომზადებას (გაწმენდა, მონიშვნა, მექანიკური დამუშავება, შესადუღებელი ზედაპირების მოხვეწა და გაუცხიმოვნება). პირაპირების აწყობა (შესადუღებელი მილების ბოლოების დაყენება და ჩამაგრება მაცენტრირებული მოწყობილობის ჩამჭერებში ქუროს ერთდოული ჩასმით, შესადუღებელი აპარატის მიერთება ქუროსთან).

შედუღება (შედუღების პროცესის პროგრამირება, შედუღების პროცესის გაშვება, გახურება, შენაერთის გაგრილება).

მექანიკური დამუშავების წინ შესადუღებელი მილის ბოლოებზე, ქუროს სიგრძის ნახევარზე დაეტანება ნიშანი დამუშავების ზონის მონიშვნისათვის.

მილის ბოლოების დამუშავება გულისხმობს მილის ბოლოდან 0.1–0.2 მმ სისქის ფენის მოცილებას სპეციალური საწმენდით, ხელის ან მექანიზირებული სახვეწით.

მოხვეწის შემდეგ შესადუღებელ ზედაპირებს და ქუროებს გულმოდგინეთ ასუფთავებენ სპირტში ან უაიტსპირტში დასველებული საშრობი ქაღალდით.

ჩასაყენებელი გამახურებლებიანი დეტალებით შედუღებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მათთვის შესაბამისი შედუღების აპარატები.

4. გაზსადენის გამოცდა

აშენებული გაზსადენების ქსელი უნდა გამოიცადოს ჰერმეტიულობაზე და სიმტკიცეზე. გამოცდის დაწყებამდე ქსელი უნდა გაიწმინდოს მასში არსებული მტვრისგან, გაწმენდა უნდა მოხდეს ჰაერის გამოქრევის მეთოდით. ჰაერით გამოქრევის დროს მილში უნდა გაიაროს ჰაერის ნაკადმა 15-20მ/წმ სიჩქარით. გაქრევისთვის ჰაერის წნევა რესივერში უნდა იყოს 6კგ/სმ².

გაზსადენი სიმტკიცესა და ჰერმეტიულობაზე უნდა გამოიცადოს: $P_{max} - 3bar$ გაზსადენისთვის - $P=6bar$ 1 სთ და $P=3bar$ - 24 საათის განმავლობაში.

გამოცდის შედეგები დადებითად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ წნევის დაცემა შეუმჩნეველია 0.6 სიზუსტის მანომეტრზე, ხოლო 0,4 და 0.15 სიზუსტის მანომეტრზე წნევა დაეცემა მანომეტრის შკალის 1 დანაყოფის ფარგლებში. მანომეტრზე დასაშვებზე მეტი წნევის ვარდნის შემთხვევაში, დეფექტური ნაწილები მოიძებნოს და აღმოფხვრის შემდეგ გაზსადენი გამოიცადოს განმეორებით.

პროექტი გამოშვებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით. მშენებლობის დროს პროექტიდან ნებისმიერი გადახვევა შეთანხმდეს საპროექტოსთან შპს „GC Group“, ასოციაცია „ატუ“-ს ტექნიკურ ჯგუფთან და ზედამხედველობის სამსახურებთან.

პროექტის მთავარი ინჟინერი

გ. გაგაძე

ქ. ქუთაისის საერთაშორისო
უნივერსიტეტის გაზმომარაგება (საქ. კოდი 03.06.27.292)
გაზსადენის შიდა ქსელი

სპეციფიკაცია							
№	დასახელება	დiameter	განზ	რაოდ	წონა		მარკა
					ერთ.	საერთო	
1	პოლიეთილენის მილი	d=160	გ.მ.	745	4.50	3351	PE100 SDR17
2	პოლიეთილენის მილი	d=90	გ.მ.	210	1.44	303	PE100 SDR17
3	პოლიეთილენის მილი	d=63	გ.მ.	84	0.71	60	PE100 SDR17
4	პოლიეთილენის მუხლი 90°	d=160	ც	3			PE100 SDR11
5	პოლიეთილენის მუხლი 45°	d=160	ც	8			PE100 SDR11
6	პოლიეთილენის მუხლი 90°	d=90	ც	4			PE100 SDR11
7	პოლიეთილენის მუხლი 45°	d=90	ც	1			PE100 SDR11
8	პოლიეთილენის მუხლი 90°	d=63	ც	7			PE100 SDR11
9	პოლიეთილენის სამკაპი	d=160-63	ც	1			PE100 SDR11
10	პოლიეთილენის გადამყვანი	d=160-90	ც	1			PE100 SDR11
11	პოლიეთილენის ფოლადზე გადამყვანი	d=160-6"	ც	1			PE100 SDR11
12	პოლიეთილენის ფოლადზე გადამყვანი	d=90-3"	ც	3			PE100 SDR11
13	პოლიეთილენის ფოლადზე გადამყვანი	d=63-2"	ც	5			PE100 SDR11
14	პოლიეთილენის ქურო	d=160	ც	88			PE100 SDR11
15	პოლიეთილენის ქურო	d=90	ც	32			PE100 SDR11
16	პოლიეთილენის ქურო	d=63	ც	27			PE100 SDR11
17	პოლიეთილენის სასიგნალო ლენტე		გ.მ.	1039			
18	ფოლადის მილი (სწორნაკერისანი) d=150(159x4.0)	d=150	გ.მ.	2	15.29	31	10704-91
19	ფოლადის მილი (სწორნაკერისანი) d=80(89x3.5)	d=80	გ.მ.	6	7.38	44	10704-91
20	ფოლადის მილი (სწორნაკერისანი) d=50(57x3.0)	d=50	გ.მ.	12	4.00	48	10704-91
21	ფოლადის მილი საყრდენისთვის d=80(89x3.5)	d=80	გ.მ.	3	7.38	22	10704-91
22	ფოლადის მილი საყრდენისთვის d=50(57x3.0)	d=50	გ.მ.	3	4.00	12	10704-91
23	ფოლადის გარცმის მილი L=1მ იზოლაციით	d=250	ც	1	21.21	21	10704-91
24	ფოლადის გარცმის მილი L=1მ იზოლაციით	d=150	ც	3	15.29	46	10704-91
25	ფოლადის გარცმის მილი L=1მ იზოლაციით	d=100	ც	5	10.26	51	10701-91
26	ფოლადის გარცმის მილი იზოლაციით	d=200	გ.მ.	54	21.21	1145	10701-91
27	ფოლადის გარცმის მილი იზოლაციით	d=125	გ.მ.	12	12.13	146	10701-91
28	ფოლადის გარცმის მილი იზოლაციით	d=100	გ.მ.	15	10.26	154	10701-91
29	ფოლადის მუხლი 90°	d=80	ც	2			
30	ფოლადის მუხლი 90°	d=50	ც	4			
31	გაზის ონკანი (ბურთულოვანი) მილტუჩური	d=150	ც	1			PN10
32	გაზის ონკანი (ბურთულოვანი) მილტუჩური	d=80	ც	1			PN10
33	გაზის ონკანი (ბურთულოვანი) მილტუჩური	d=50	ც	1			PN10
34	ფოლადის მილტუჩი	d=150	ც	2			
35	ფოლადის მილტუჩი	d=80	ც	2			
36	ფოლადის მილტუჩი	d=50	ც	2			

e\$; T#D#G?N; Nu<S?H?T#S?#				
№	დასახელება	დიამეტრი	განზ	რაოდ
1	სეისმური ონკანი	d=50	ც	1
2	ფილტრი	d=50	ც	1
3	ონკანი	d=50	ც	1
4	მილტუზი	d=50	ც	8
5	საშ. წნევის მანომეტრი		ც	2
6	დაბ. წნევის მანომეტრი		ც	1
7	ლითონის კარადა სამაგრი მასალებით	150x100x100	კომპ	1

e\$; T#D#G?N; Nu<S?H?T#S?#				
№	დასახელება	დიამეტრი	განზ	რაოდ
1	სეისმური ონკანი	d=80	ც	1
2	ფილტრი	d=80	ც	1
3	ფილტრი	d=50	ც	1
4	გაზის წნევის რეგულატორი Q=40მ³/სთ		ც	1
5	ელ. იმპულსური ონკანი	d=50	ც	1
6	ონკანი	d=80	ც	2
7	ონკანი	d=50	ც	2
8	მილტუზი	d=80	ც	10
9	მილტუზი	d=50	ც	10
10	საშ. წნევის მანომეტრი		ც	4
11	დაბ. წნევის მანომეტრი		ც	1
12	ლითონის კარადა სამაგრი მასალებით	200x150x100	კომპ	1

**ქ. ქუთაისის საერთაშორისო
უნივერსიტეტის გაზმომარაგება (საქ. კოდი 03.06.27.292)
გაზსადენის შიდა ქსელი**

სამუშაოთა მოცულობა				
N	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ	
1	ტრანშეის ამოთხრა II კატ. გრუნტში მექანიზმებით	მ ³	185	
2	ტრანშეის ამოთხრა II კატ. გრუნტში ხელით	მ ³	13	
3	ტრანშეის ამოთხრა III კატ. გრუნტში მექანიზმებით	მ ³	442	
4	ტრანშეის ამოთხრა III კატ. გრუნტში ხელით	მ ³	20	
5	ტრანშეის ძირის მოსწორება და ხის ფესვებისგან გაწმენდა	მ ²	519	
6	ტრანშეის ძირზე ქვიშის საფუძვლის მოწყობა მილისთვის სისქით 0.1 მ და მიყრა მილის ზედაპირიდან 0.2 მ სიმაღლეზე	მ ³	228	
7	ტრანშეის შევსება ხრეშის ბალასტით მისი თანდათანობითი დატკეპვით	მ ³	32	
8	ტრანშეის შევსება ადგილობრივი გრუნტით მისი თანდათანობითი დატკეპვით	მ ³	400	
9	პოლიეთილენის მილის მიმანიშნებელი ლენტის ჩადება ტრანშეაში მილის ზედაპირიდან 0.2 მ სიმაღლეზე	გ.მ	1039	
10	მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენის გაყვანა და გამოცდა	გ.მ	745	d=160
			210	d=90
			84	d=63
11	ამოთხრილი გრუნტის გატანა	მ ³	260	
12	ფოლადის გარცმის მილის ბოლოების ამოქოლვა	ც	15	
13	ორმოების ამოთხრა III კატ. გრუნტში საყრდენებისთვის	ლ ³	1	
14	d=50 h=1.0 მ სიმაღლის ფოლადის მილის საყრდენების მოწყობა	ც	2	
15	d=80 h=1.0 მ სიმაღლის ფოლადის მილის საყრდენების მოწყობა	ც	2	
16	კრონშტეინის მოწყობა d=50	ც	2	
17	კრონშტეინის მოწყობა d=80	ც	1	
18	ბეტონის ფუნდამენტის მოწყობა საყრდენებისათვის	ლ ³	0.7	M-300
19	ფოლადის გაზსადენის გაყვანა და გამოცდა	გ.მ	2	d=150
			6	d=80
			12	d=50
20	ხარჯშომი კვანძის ტერიტორიის მოხრეშვა სისქით 15სმ	მ ²	24	
21	ფოლადის გაზსადენის შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ (ყვითელი)	მ ²	4	
22	ფოლადის საყრდენების შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ჯერ (ნაცრისფერი)	მ ²	1	
23	პირაპირების გაშუქება მიწისზედა გაზსადენზე (პირაპირების 5%)	ც	1	



SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kiziki str. Tbilisi,
Georgia, 0182

O-GS-KT-LT-2018-12-5/01

05.12.2018

ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მურღულიას

მისამართი: ქ. ქუთაისი-რიონჭესის მიმდებარედ

საიდენტიფიკაციო კოდი: 3/5 01019020642

სს „საქორგაზში“ განხილულ იქნა თქვენს მიერ გამოგზავნილი „ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების_შესახებ“

გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, სს „საქორგაზის“ მიერ დამტკიცებულ იქნა, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობა (რეგისტრაციის #OOR-SGG-TS-2018-12-4/01; 04.12.2018წ.), რომელიც ეხება ქ.ქუთაისში რიონჭესის მიმდებარედ მდებარე ობიექტის საუნივერსიტეტო კომპლექსის

გაზ.მომარაგებას (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 03.06.27.292.).

აღნიშნული ტექნიკური პირობის შესაბამისად, ობიექტის გაზმომარაგება უნდა განხორციელდეს, თერჯოლის რაიონის სოფელ სარბევში მდებარე, # 99 გაზ.მარეგულირებელი სადგურიდან გამავალი, # 99 ზონის მრიცხველიდან. ამასთან, არსებულ გამანაწილებელ ქსელზე მიერთება შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნული #99ზონის მრიცხველიდან 2500 მეტრის დაშორებით, მიერთების წერტილში არსებული 200მმ. დიამეტრის გამანაწილებელი ქსელის საშუალო წნევის საფეხურზე, თერჯოლის რაიონის სოფელ სარბევის მიმდებარედ.

ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებისათვის არ არის საჭირო არსებული გამანაწილებელი ქსელის რეკონსტრუქცია. ამასთან,

მიერთების წერტილიდან ობიექტის კუთვნილ ტერიტორიამდე ასაშენებელია 2500მ მიწისქვეშა ტიპის გამანაწილებელი ქსელი. ხოლო,

ობიექტის კუთვნილი ტერიტორიაზე ასაშენებელია შიდა ქსელი.

აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ობიექტის კუთვნილი ტერიტორიიდან 2500 მ.-ის დაშორებით, გამანაწილებელი ქსელის საშუალო

წნევის საფეხურზე, 1-1600 ტიპის მრიცხველით.

გამანაწილებელი ქსელიდან ობიექტის ბუნებრივი გაზის მოხმარების დასაშვები მოცულობა (სიმძლავრე) შეადგენს 2187მ³/სთ.

აღნიშნული ტექნიკური პირობა ძალაშია მისი რეგისტრაციის თარიღიდან ერთი წლის ვადით.

გაცნობებთ, რომ მისაერთებელი ობიექტის აღრიცხვის კვანძის მოწყობა, გამანაწილებელ ქსელზე მიერთება და ექსპლუატაციაში მიღება უნდა განხორციელდეს სს „საქორგაზის“ შესაბამის სამსახურის ზედამხედველობითა და მასთან შეთანხმებით (მიუხედავად იმისა თუ ვის მიერ შესრულდება აღნიშნული სამუშაოები).

დამატებით გაცნობებთ, რომ სს „საქორგაზი“ გამოთქვავს მზადყოფნას, რომ აღნიშნული განაცხადით მოთხოვნილი გაზმომარაგებისათვის საჭირო სამუშაოები (გამანაწილებელი და შიდა ქსელის მოწყობის ჩათვლით სამუშაოები) განახორციელოს სრული ტექნოლოგიური ციკლის დაცვით (მათ შორის პროექტირების, ნებართვების, მასალის შეძენის, მშენებლობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და ექსპლუატაციაში მიღების ჩათვლით).


აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თქვენი მოთხოვნის (ან თანხმობის) განცხადების ფორმით სს „საქორგგაზში“ წარდგენა და კანცელარიაში რეგისტრაცია. მისი რეგისტრაციის შემდეგ, განაზღვდება საქმის წარმოება და განხილული იქნება თქვენი წინადადება.


პატივისცემით,


(ხელმოწერა)

კარადა №1 H გლოვისთვის

d=50 და d=80 კრონშტეინი გაზსადენის
კედელზე დასამაგრებლად




Standard Boru Çapları Pipe Diameter	Ø mm	Arma Aralığı Decoupling Distance	İng	C x B x L x D	A x G x L1	Kutu Box Adet Ftöce	Kutu Box Kg. Kg.
21,3	20	20-28	1/2"	8 30 36 43	2,0 30 58,5	100	15,45
26,7	25	25-28	3/4"	8 30 36 43	2,0 30 60,5	100	15,85
33,4	31	32-35	1"	8 30 36 43	2,0 30 77	75	14,75
42,2	38	42-45	1 1/4"	8 30 36 43	2,0 30 72	50	13,75
48,3	46	48-52	1 1/2"	8 30 36 43	2,0 30 91	50	14,3
60,3	55	58-60	2"	8 30 36 43	2,0 30 103	40	15,4
73	70	75-80	2 1/2"	10 30 36 43	2,5 30 125	25	10,4
88,9	79	86-91	3"	10 30 36 43	2,5 30 153	25	11,2
114,3	106	110-115	4"	10 30 36 43	2,5 30 163	20	2,4
141,0	132	138-112	5"	10 40 36 43	3,0 40 202	10	10,8
168,3	164	163-167	6"	10 40 36 43	3,0 40 243	10	12
219,1	214	216-222	8"	10 40 36 43	3,0 40 288	10	14,5
		246-250	10"	10 40 36 43	3,0 40 323	5	8,2







შენიშვნა
მრიცხველის მოწყობას ანსტრუქციებს გაზის
დისტრიბუტორი კომპანია, "სამეპრო"-ს
დადგენილებით!

დირექტორი	ა. მუხიანოვი	ა. მუხიანოვი	ა. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომგზავნა (საქ. აქტი 03.06.27.292) გაზსადენის შიდა ქსელი	
პრ. მთ. ინჟინერი	გ. ბაბაძე	გ. ბაბაძე		
სპეციალისტი	გ. ჭოროჭოლიანი	გ. ჭოროჭოლიანი		
სპეციალისტი	გ. არაბული	გ. არაბული		
GC Group		დავ. № სტ-ა 10/20	N1 ჯარადის მოწყობის ქსელი	
ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, ოთახი №1413. 593 608008		gcggroup2010@gmail.com		ფურც 2
		5.02.2020		

პარაღა №2
"A", "B" და "J" გლოპისთვის



შენიშვნა
მრიცხველის მოწყობას ანხორციელებს გაზის
დისტრიბუტორი კომპანია, "სემეპი"-ს
დადგენილებით!

UTM WGS 84 Zone 38 N				
ფირმაპროტი	ა. მახინიშვილი		ქ. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გაუმომარაგება (საპ. ჟოდი 03.06.27.292) გაზსადენის შიდა ქსელი	
პრ. მთ. ინჟინერი	ბ. ბაბაძე			
სპეციალისტი	მ. ჭოგოლიანი			
სპეციალისტი	ბ. არაბული			
			N1 ხარუდის მოწყობის სქემა	
GC Group		დავ. № სტ8-ა 10/20		
ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, ოთხსართ. №1413. 593 608008			gcgrou2010@gmail.com	
			5.02.2020	